გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №101

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.13.524; ფართობით 6,00 კვ.მ.) შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 28 აპრილს შემოსულია შპს ,,საქართველოს ფოსტის'' წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2020 წლის 8 მაისს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,საქართველოს ფოსტას'' შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას გასდის მოქმედების ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.13.524 მიწის ნაკვეთის პირიდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადაცემა (იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება) სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2023 წლის 16 მაისის N132-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.13.524, დაზუსტებული ფართობი: 6.00 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ), საწყის საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 3,600.00 (სამიათასექვსასი) ლარი.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა, ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ ს/კ 66.45.13.524 უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით - 6.00 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს ,,საქართველოს ფოსტისთვის'' გადაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს იჯარის წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.13.524 უძრავი ქონება (მისამართი: გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ), ფართობით 6,00 კვ.მ., პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს „საქართველოს ფოსტას", სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით.
2. მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.13.524, ფართობით 6 კვ.მ., საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 3600 (სამიათასექვსასი) ლარით.
3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1440 (ათასოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით.
4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 1 (ერთი) წლის ვადით.
5. მოიჯარეს ს/კ 66.45.13.524 უძრავი ქონება გადაეცემა სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით.
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**